ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა

# ოდიში

1990
შაბათი
15
სექტემბერი
№111 (10348)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

## საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების ზუგდიდის საქალაქო საარჩევნო უბნები

### თბილისის საარჩევნო უბანი № 1

ცენტრი: ჭადრაკის სასახლის შენობა თბილისის ქუჩაზე.

საზღვრები: გამარჯვების ქ. № 1-დან დადიანის ქუჩამდე, ლენინის ქუჩა რუსთაველის ქუჩიდან დადიანის ქუჩამდე, თავისუფლების ქ. 1-დან ლერმონტოვის ქუჩამდე. კომკავშირის ქ. № 1-დან ლერმონტოვის ქუჩამდე, გიორგი ჭყონდიდელის ქ. № 1-დან დადიანის ქუჩამდე, ყაზბეგის ქუჩა № 1-დან რუსთაველის ქუჩამდე, ჯაფარიძის, ნეკრასოვის, ყოფილი ლენინის 1-ლი შესახვევის, 1 მაისის. ვარშავას. ჯანაშიას, კარლ-მარქსის, პიონერის, ორბელიანის, ძნელაძის. ძნელაძის ჩიხი, მარქსის ჩიხი. შალვა ქირიას, კაკო-ფშაველას, ვაჟა-ფშაველას შესახვევი, ა. როგავას; არაგვისპირელის, ჯიქიას, თბილისის, ლესია უკრაინკას ქუჩები.

### ჩაის კომბინატ „ოდიშის" საარჩევნო უბანი № 2

ცენტრი: ჩაის კომბინატ „ოდიშის" კლუბის შენობა გორის ქუჩაზე.

საზღვრები: დავით აღმაშენებლის ქუჩა ჯავახიშვილის ქუჩიდან ბოლომდე, ჯავახიშვილის, ჩაიკოვსკის, ჭონქაძის, ბარათაშვილის, პეტრიაშვილის, ლომონოსოვის, ჩეხოვის, გრიბოედოვის, გრიბოედოვის შესახვევი, გორის. მცხეთის, მაიაკოვსკის, ერისთავის, ერისთავის 1-ლი შესახვევი კრილოვის, კრილოვის 1 შესახვევი, კრილოვის მე-2 შესახვევი, მექანიკური კომბინატის, ჩაის კომბინატ „ოდიშის", № 2676 ავტოკოლონის და № 1 ჩაის ფაბრიკის დასახლებები.

### თავისუფლების საარჩევნო უბანი № 3

ცენტრი: ჩაის ექსპერიმენტული ფაბრიკა.

საზღვრები: ყოფილი ლენინის ქუჩა. დადიანის ქუჩიდან ბოლომდე, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა დადიანის ქუჩიდან ბოლომდე, თავისუფლების ქუჩა ლერმონტოვის ქუჩიდან ბოლომდე, კომკავშირის ქუჩა ლერმონტოვის ქუჩიდან ბოლომდე. გამარჯვების ქუჩა დადიანის ქუჩიდან ბოლომდე. ფრუნზეს ქუჩა, კეცხოველის, კეცხოველის 1-ლი შესახვევი, გრიშაშვილის, თათარიშვილის, ლომთათიძის, ლომთათიძის 1-ლი შესახვევი, ყოფილი ლენინის მე-2 შესახვევი, ყოფილი ლენინის მე-3 შესახვევი ყოფილი ლენინის მე-4 შესახვევი, დადიანის ქუჩა, 8 მარტის, პარიზის კომუნის ქუჩა, ლერმონტოვის ქუჩა, ლერმონტოვის შესახვევი, კუბის ქუჩა, ოსტროვსკის ქუჩა გ. ცაბაძის, ზენდელიანის, ზენდელიანის 1-ლი შესახვევი, ხორავას — ქუჩა, 26 კომისრების, 26 კომისრების შესახვევი, თავისუფლების მე-2 შესახვევი, თავისუფლების მე-3 შესახვევი, თავისუფლების ქუჩა.

### რუსთაველის საარჩევნო უბანი № 4

ცენტრი: საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შენობა გეგეჭკორის ქუჩაზე.

საზღვრები: დავით აღმაშენებლის ქუჩა რუსთაველის ქუჩიდან ჯავახიშვილის ქუჩამდე, მერაბ კოსტავას ქუჩა 1-დან რუსთაველის ქუჩამდე, რუსთაველის ქუჩა კომკავშირის ქუჩიდან მდ. ჩხოუშიამდე, გეგეჭკორის, გეგეჭკორის 1-ლი შესახვევის, გეგეჭკორის მე-2 შესახვევის, გეგეჭკორის ჩიხი, შაუმიანის, ჯორჯიაშვილის, დიმიტროვის ქუჩა.

### ცოტნე დადიანის საარჩევნო უბანი № 5

ცენტრი: რაიონის კულტურის სახლის შენობა რუსთაველის ქუჩაზე.

საზღვრები: რუსთაველის ქუჩა 1-დან კომკავშირის ქუჩამდე, ყაზბეგის ქუჩა რუსთაველის ქუჩიდან ბოლომდე, დავით აღმაშენებლის ქუჩა № 1-დან მერაბ კოსტავას ქუჩამდე. თეატრის, ცოტნე დადიანის, ნინოშვილის, ნინოშვილის 1-ლი შესახვევის, ნინოშვილის მე-2 შესახვევის, წმიდა ნინოს, ეგრისის, ეგრისის 1-ლი შესახვევი, ეგრისის მე-2 ჩიხი, ლუქსემბურგის, მეუნარგიას, მეუნარგიას მე-2 შესახვევი, ვორკის, ვოროვსკის, ანთელავას, წულუკიძის, გ. როგავას, პოდპოლშიკის. გაგარინის, მარცხენა სანაპიროს, ქუჩიშვილის, ქუჩიშვილის შესახვევი, კლდიაშვილის, კლდიაშვილის შესახვევი.

### წერეთლის საარჩევნო უბანი № 6

ცენტრი: ტაქსომოტორების ავტოდირექციის შენობა სოხუმის ქუჩაზე.

საზღვრები: სოხუმის ქუჩა 1-დან მდ. ჩხოუშიამდე. ოდიშის, ლეონიძის, ცაიშვილის, ვ. ზაქარაიას, ვ. ზაქარაიას ჩიხი, სამეგრელოს, სამეგრელოს შესახვევი, ბელინსკის, ფალიაშვილის, მელიქიშვილის, სარაჯიშვილის, გაგარინის 1-ლი შესახვევი, ჩიტაძის, ჩიტაძის 1-ლი შესახვევი, ჩიტაძის მე-2 შესახვევი, ჩიტაძის მე-3 შესახვევი, ჩიტაძის ჩიხი კიკვიძის, საიკაძის, ბათუმის, ბათუმის 1-ლი შესახვევი, ჩოდრიშვილის, წერეთლის, წერეთლის 1-ლი შესახვევი, წერეთლის მე-2 შესახვევი, წერეთლის მე-3 შესახვევი, წერეთლის მე-4 შესახვევი, წერეთლის მე-5 შესახვევი, კავკასიონის, დეკაბრისტების, ბაგრატიონის, ბუქარესტის, წითელარმიელთა, კრასნოდარის, შევჩენკოს, [illegible], სვანეთის ჩიხის, წმინდა გიორგის, წმინდა გიორგის შესახვევი.

### სოხუმის საარჩევნო უბანი № 7

ცენტრი: № 3 სამშენებლო სამმართველოს შენობა

საზღვრები: სოხუმის ქუჩა მდ. ჩხოუშიამდე, პაპანინის ქუჩა ორჯონიკიძის ქუჩიდან სოხუმის ქუჩამდე, მერაბ კოსტავას ქუჩა მდ. ჩხოუშიიდან ბოლომდე, ბორჯომის ქუჩა № 1-დან სანაპიროს ქუჩამდე, ტურგენევის, სამგორის, დუტუ მეგრელის, დუტუ მეგრელის 1-ლი შესახვევი, მოსკოვის, სოხუმის მე-2 შესახვევი, სოხუმის მე-3 შესახვევი, სოხუმის მე-4 შესახვევი, სოხუმის მე-5 შესახვევი, სოხუმის ქუჩის ჩიხი, ვეკუას ქუჩა, ვეკუას შესახვევი, № 2 ჩაის ფაბრიკის დასახლება, მახაბლის ქუჩა, ნიკოლაძის ქუჩა რუსთაველის ქუჩიდან ბოლომდე, ნიკოლაძის 1-ლი შესახვევი, ძერჟინსკის ქუჩა 1-დან პაპანინის ქუჩამდე ჩკალოვის ქ. 1-დან პაპანინის ქუჩამდე, მარჯვენა სანაპიროს ქუჩა.

### ფაიფურის ქარხნის საარჩევნო უბანი № 8

ცენტრი: ფაიფურის ქარხნის დირექციის შენობა ახალგაზრდობის ქუჩაზე.

საზღვრები: პაპანინის ქ. სოხუმის ქუჩიდან ბოლომდე, ი. ჭავჭავაძის 1-ლი შესახვევი, ი. ჭავჭავაძის მე-2 შესახვევი, სოხუმის 1-ლი შესახვევი, ჩიქოვანის ქ. ჩიქოვანის 1-ლი შესახვევი, წყალსადენის ქ. პაპანინის ჩიხი, ყუფუნიას ქ. ხერგიანის ქ. ხერგიანის 1-ლი შესახვევი, გრანელის ქ. გრანელის 1-ლი შესახვევი, გრანელის მე-2 ჩიხი, ფიფიას, ფიფიას 1-ლი შესახვევი, ფიფიას მე-2 შესახვევი, მანჯგალაძის ქ. მანჯგალაძის 1-ლი შესახვევი, მანჯგალაძის მე-2 შესახვევი, მანჯგალაძის მე-3 შესახვევი, ფაიფურის ქარხნის დასახლება

### პუშკინის საარჩევნო უბანი № 9

ცენტრი: № 1 სატვირთო ავტოტრანსპორტო საწარმოს დირექციის შენობა პუშკინის ქუჩაზე.

საზღვრები: პაპანინის ქ. 1-დან მერაბ კოსტავას ქუჩამდე. საბჭოს ქუჩა 1-დან პუშკინის ქუჩამდე, ძერჟინსკის ქუჩა პაპანინის ქუჩიდან ბოლომდე, ბორჯომის ქ. პაპანინის ქუჩიდან ბოლომდე, ბორჯომის მე-2 შესახვევი, ბაკურიანის, ჩკალოვის ქუჩა პაპანინის ქუჩიდან ბოლომდე. პუშკინის, გურამიშვილის, გურამიშვილის ჩიხი, ჭავჭავაძის, კობახიძის, ტაბიძის, კლარა ცეტკინის, საჯიას, მირცხულავას, მოსაშვილის, მოსაშვილის შესახვევი.

### ქუთაისის საარჩევნო უბანი № 10

ცენტრი: ბუნების დაცვის ზუგდიდის ინსპექციის შენობა ბუდიონის ქუჩაზე.

საზღვრები: საბჭოს ქ. პუშკინის ქუჩიდან ბოლომდე გოგებაშვილის, ლესელიძის, გაბაშვილის, კუიბიშევის, კუიბიშევის შესახვევი, გოგოლის, ფურცელაძის, რუხაძის, ჩაჩიბაიას, ქუთაისის, კრუპსკაიას, კრუპსკაიას მე-2 შესახვევი, კრუპსკაიას 1- შესახვევი, ჩაპაევის, საბჭოს მე-3 შესახვევი, ბუდიონის, ფიროსმანის, ოდესის ქ.

### რკინიგზის საარჩევნო უბანი № 11

ცენტრი: რკინიგზის სადგურის შენობა.

საზღვრები: რუსთაველის ქ. მდ. ჩხოუშიიდან ბაქოს ქუჩამდე. ნიკოლაძის ქუჩის № 1-დან რუსთაველის ქუჩამდე. ჩიჩუას, ლენინგრადის, რუსთაველის, 1-ლი შესახვევი, რუსთაველის მე-2 შესახვევის, ფოთის, მესხიას, მესხიას შესახვევი, ჩელუსკინელების, ბაქოს ქუჩა.

### საკონსერვო ქარხნის საარჩევნო უბანი № 12

ცენტრი: საკონსერვო ქარხნის დირექციის შენობა თამარ მეფის ქუჩაზე.

საზღვრები: რუსთაველის ქ. ბაქოს ქუჩიდან ბოლომდე, თამარ მეფის ქუჩა 1-დან ქუთაისის ქუჩამდე, სვერდლოვის, სვერდლოვის 1-ლი შესახვევი, სვერდლოვი მე-2 შესახვევი, სვერდლოვის მე-3 შესახვევი, კოლხიდის, ერევნის, საირმის, ურიცკის, წალვერის, კონსტიტუციის, ენგელსის, ენგელსის 1-ლი შესახვევი, ტრეტიაკოვის, გამსახურდიას, ლვოვის. წითელპარტიზანელთა, ლომოურის, ლომოურის 1-ლი შესახვევი, ლომოურის მე-2 შესახვევი, რიგის ქუჩა, ბუკიას ქუჩა. ტოლსტოის ქ. ტოლსტოის 1-ლი შესახვევი, ტოლსტოის მე-3 შესახვევი, ჩერნიშევსკის, სოხელიას, რუსთაველის მე-5 შესახვევი, დგებუაძის ქუჩა.

(დასასრული მორიგ ნომერში)

### განცხადება

მიმდინარე წლის 11 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა საქინფორმის ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან მიმდინარე აქციის შესახებ.

ცნობაში ნათქვამია, რომ შენობის პიკეტირებაში მონაწილეობენ წმინდა ილია მართლის საზოგადოების ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენლებიც.

ზუგდიდში არსებული საზოგადოებრივ - პოლიტიკური ორგანიზაციები ვაცხადებთ, რომ ეს ცნობა არ შეესაბამება სიმართლეს. მეტიც, იგი პროვოკაციულია და მიმართულია იქითკენ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს დისკრედიტაცია გაუწიონ წმინდა ილია მართლის საზოგადოებას, აქედან გამომდინარე სახელი გაუტეხონ მის თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას, აგრეთვე მთელ ეროვნულ მოძრაობას.

ამასთან ვაცხადებთ, ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ნებისმიერი პატიმრობაში მყოფი პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება ჩატარდეს ობიექტურად, დადგინდეს სიმართლე და დაცულ იქნეს ადამიანის უფლებები.

სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების, საქართველოს ჰელსინკის კავშირის, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების, საქართველოს სახალხო ფრონტის, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების, საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციები.

### საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისაგან, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისაგან, სახალხო განათლების საქალაქო განყოფილებისაგან

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილება, ვეტერანთა და ქალთა საბჭოები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, რესპუბლიკაში ერთ-ერთი საპატივცემო მხედარი ქალი, ქ. ზუგდიდის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

**თამარ იაკობის ასული ჭითანავა**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### თ. ი. ჭითანავას დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ

შეიქმნა თ. ი. ჭითანავას დამკრძალავი კომისია მ. ბუცხრიკიძის (თავმჯდომარე), დ. მარკველანის, კ. მელიას, ლ. ციმინტიას, ჯ. ხორავას, რ. ბოლიას შემადგენლობით.

# მადლიერი შთამომავლობა პატივს მიაგებს პოეტის ხსოვნას

რადენაც მრავალჭირნახახი საქართველოს ხვედ-ბედზე ფიქრობ, უნებლიეთ გებადება კითხვა:



ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც ძნელბედობის ჟამს მამულს მეომრედ ევლინებოდა, მაცოცხლებელ

## ჭეშმარიტი მამულიშვილი

ძარღვს უნარჩუნებდა, ხალხის წყლულებს მალამოდ ედებოდა? უპირველეს ყოვლისა, ლომგული თორონანნი, მოძალადეთა ხმლით მკვეთელნი. და მათთან ერთად ერის სულიერი შვილები, ხელოვანნი და მწიგნობარნი, თავიანთი მჭრელი ნაკვერჩხალივით ფურცლებით და კალმით რომ ამაღლებდნენ მამულის სახელს.

ერთი მათგანია ჩვენი თანამემამულე, ხოფელ ოდიშის მკვიდრი, უნაზესი ლირიკოსი ალექსანდრე საჯაია, ვინც ორმოციან წლებში თავის სახელოვან ახალთაობელებთან ერთად ხალასი სტრიქონებით უმღერა საქართველოს, გულწრფელად გამოხატა მშობელი ხალხის გულისთქმა. განგების მადლიც ფარავდა შეჭირვებულ ხალხს, იგი ალექსანდრეხთან ოქროპირებს ნათლის სვეტებად ჩააყენებდა ხოლმე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა არ დაშრეტილიყო ქართული გენის ცხოველმყოფელობა, მისი უდრეკი სული.

ვეცნობი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული პოეტის ნაწარმოებებს და შეუძლებელია არ მოიხიბლო ოდიშური მიწის სურნელით, მისი ბაერის სილბოთი, ფერთა სხივოსნობით. მისი სტრიქონებიდან კოლხი კაცის სულიერი გაუტეხლობა და შინაგანი, ჩუმი ნაღველიც იკითხება. ამასთან შეიგრძნობ ხალხის უშრეტ ენერგიას, შენივთებულს სამშობლოს სიყვარულთან.

რა თვისება ვპოვეთ თვალში გამორჩეულად ამ კეთილად დამაშვრალი პოეტის პიროვნებაში?

უპირველეს ყოვლისა, ფუტკრის გულმოდგინება, ქართული ლიტერატურისადმი ერთგულება. სხვა სიტყვებით, რა უნდა მივიჩნიოთ მწერლის ამ სოცარი ძალისხმევის წყაროდ? სამშობლოს საკუთხეველთან უანგაროდ მიტანილი ნიჭიერება, ფიზიკური და სულიერი ენერგია, ჯანმრთელობა.

ამ დღეებში მადლიერი შთამომავლობა პატივს მიაგებს ნიჭიერი პოეტის ხსოვნას. მშობლიურ სოფელ ოდიშში გაიხსნება ჭეშმარიტი მამულიშვილის სახლ-მუზეუმი. მწყობრში დგება ახალი კერა, რომელიც ეროვნული სულის გაღვივებისათვის ეგზომ საჭირო, ნაპერწკლით დამუხტავს ახალი საქართველოს მშენებელ ხალხს.

## დაუვიწყარი მეგობარი

„სხვებთან შედარებით ალიოშა საჯაია უფრო მშვიდი და თავდაჭერილი ჩანდა, მაგრამ ყოველთვის მზად ჰქონდა ცეცხლი დასაკვესად. ეს, ერთი შეხედვით არ შეიმჩნეოდა, იმდენად თავაზიანი და გულისხმიერი იყო, ამაში ხელს უწყობდა საკმაო კულტურა და აღზრდა. იცოდა რაღაც ღუღუნ-ღუღუნით და მოკრძალებით მუსაიფი.

ყველა მის ამხანაგს ახსოვს იგი ყოველთვის კოხტად ჩაცმული, შავი კოსტუმით, ღილგახსნილი თეთრი პერანგით, თავშავკელი ხუჭუჭთმიანი".

ნიკა აგიაშვილი.

ტელესამოსანდრო სტუმარი

## სხვა არაფერი

ნიავს ვუხმენდი: ჩუმი და ტკბილი,
ხმა შორეული ჩამწვდა გულამდე,
ჩავიმღერე და ჩავყევი ბილიკს,
და ისევ ნიავს მივაყურადე.
წინ იყო მარტო სიბნელის ფარდა,
ტყე-ველი, მუქად გადანაფერი,
სხვა არაფერი, სიმღერის გარდა,
მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი.
მღერის, მზე ტრფობით როგორ იწოდა,
როგორ იბრძოდა გმირი ლომგული,
ჩონგურმა ძველად ცრემლი იცოდა,
ნახეთ, რას მღერის ძველი ჩონგური.
ლამე ლამაზი ბევრი მინახავს,
მთვარეც, მთა-ველიც გადანაფერი,
ეს, არაფერი არ მინდა ახლა,
მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი.

* * *

განა იმისთვის ვეწამე ამდენს,
რომ განშორება მეგლოვა ბოლოს,
შენი ბაგენი ალუბლებს გავდნენ,
მეც ალუბლები მიყვარდა მხოლოდ.
მჯერა: ნიავიც ამაოდ ქროდა,
არ მსურს ამაოდ ვარსკვლავი ვთვალო,
შენ ლვინისფერი თვალები გქონდა,
მეც შავი ღვინო მიყვარდა ქალო.
ჩვენ თვითონ ვნახეთ ბავშვი მოცარტი,
ფერად ყვავილებს ფანტავდა ქარში,
ილიმებოდა და სარცხვო,
მე ცისარტყელა მიყვარდა მაშინ.
ვინ იცის, მოვა კიდევ შხაპუნა?
ვიცი, ერთხელაც იქნება გვიან...
მე შენმა ზეცამ ცვარი მაპკურა,
მე უშენოდაც მიჯნური მქვია.

## დროსთან თანხმიერი

ჩემს სოფელს ახსოვს ხაზეიმო, ამაღლებული დღეები. თავისი დიდებული შვილის, შესანიშნავი პოეტის ალექსანდრე საჯაიას საიუბილეო დღეები გამორჩეულად თბილი და ძვირფასია ყოველი ჩვენგანისათვის. გვეამაყება, რომ ოდიშის მრავალსაუკუნოვანი ხეების ჩრდილებით დაბურული ნაირფერად ახასხასებული ბაღები და კორდები ურწევდა აკვანს უნაზეს პოეტს. ეს ის პოეტია, ვინაც მშობელი ხალხის ყველა სალხენი და სატკივარი გაითავისა, თავისი ჩანგი 40-იანი წლების თაობის აბორგებული სულის ფეილებას მიუსადაგა.

ჭეშმარიტი შემოქმედის ღირებულება ყველა დროში ცოცხლობს. ალექსანდრე საჯაია დღევანდელი საქართველოსათვის იმიტომაც არის ძვირფასი სახელი, რომ მისი ნააზრევი და ნაფიქრი თანხმიერია დღევანდელ დროსთან.

ჩ. ჭიკაძეიშვილი,
ს. ოდიშის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

## ულვთო სიკვდილმა მოცელა

მეგობრობაში გამტანი და ხულუხვი, კეთილშობილი, ჩუმი და თავმდაბალი. იგი სერიოზულად მუშაობდა და შესაშური პასუხისმგებლობით ემზადებოდა დიდი გზის გასავლელად.

ულვთო სიკვდილს რომ უდროოდ რომ არ მოესწრაფებინა ალექსანდრე საჯაიას სიცოცხლე, დღეს იგი ქართული პოეზიის მშვენება იქნებოდა.

გრიგოლ აბაშიძე.

## მარად ჩვენთან

ზუგდიდმა არაერთი ნიჭიერი კალმოსანი მისცა ეროვნულ მწერლობას, რომელთა შორის ამაყად ელვის ალექსანდრე საჯაიას სახელი. მისი შესანიშნავი ლექსები ქართული ლირიკის ჭეშმარიტი შენაძენია.

მას ბედმა არგუნა ტკივილიანი ფიქრითა და საზრუნავით დატვირთულ გზაზე ევლო. ყოფილიყო ერთერთი ერთგული ჯარისკაცი ომის წინანდელი ლიტერატორების ახალი თაობისა, რომელიც თავისი ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების სრული შეწირვით ემსახურა მშობელი ხალხის კულტურას, მის სულიერ აღორძინებას.

დღევანდელი დღე ერუანტელის მომგვრელია ყოველი ქართველისათვის. უპირველეს ყოვლისა, ოდიშელთათვის, რამეთუ კოლხეთის ღვთითკურთხეულ მიწაზე, მზეს შეღიმებულ სოფელში გაიხსნა ალექსანდრე საჯაიას სახლ-მუზეუმი. კუთხემ პატივი მიაგო თავის საამაყო შვილს. რაიონში სიცოცხლეს იწყებს ერთი ახალი კულტურის კერა, რომელიც თავისი იდეურ-აღმზრდელობითი და ესთეტიკური ფუნქციით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნული ცნობიერების ამაღლების საქმეში.

ზ. ცხონდია.

## ჯავარიანი სიტყვის ხიბლი

დღეს ოდიშის მთაში და ბარს ლაჟვარდოვანი, ულრუბლო ზეცა დაჰნათის. მაგრამ ამ ძირძველ მიწას ათასი ჯურის გადამთიელთა ბინძური ნაფეხურებიც ახსოვს. ვინ არ ჯიჯგნიდა მის სულს და სხეულს. იყო ვერაგობა და ვაუტანლობა, ძმათა გაწირვა და ავი ენების სისინიც. მაგრამ მაინც მძლავრობდა მამულის სიყვარულისა და ერთგულების გენი ქართველ კაცში. ამ გენის მადლით იყო ამაღლებული ალექსანდრე საჯაიას სული და ნათელი პოეზია. ყოველთვის გაუნელებელი ინტერესით ვეცნობი მისი ლირიკის ჭეშმარიტ თვალმარგალიტებს. მარტო სვანეთის ციკლი რად ღირს. პოეტის მუზა საოცრად წრფელია. სახეები უშუალო და დამაჯერებელი, აქ ვერ წააწყდები ენისადმი ძალდატანების ნასახსაც კი. ის, რაც გულის სიღრმეში მომწიფდა, შემოქმედის ყელიდან თავისუფლად, ლაღად ამოითქმება. ვეცნობი მშობლიური კუთხისადმი მიძღვნილ მის მშვენიერ ლექსებს და თითქოს თვალწათლივ ვხედავ ჩვენებური ყოფის კოლორიტულ სურათებს: სიმინდის ქარვისფერ ტივრში კვესსა ყრის გლეხკაცის ნამგალი, ზვინის წინ წამოფრენილ ტოროლებს გუთნისდედის იმედიანი ოროველა ფრთიანს აქვთ ზეცაში.

ალექსანდრე საჯაიას ჯავარიანი პოეტური სიტყვა მუდამ იცოცხლებს ქართველი მკითხველის გულში და ავსებს მას სიყვარულით, სიკეთით, თავისუფლების იდეით.

გ. ბასილაია,
ქალაქის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე.

## ალ. საჯაიას ხსოვნას

მესტიიდან ოდიშამდე,
მე მომქონდა შენი კუბო,
და კუბოში ჩალურსმული
სიჭაბუკის ბევრი ოცნება.
რა არ მცადე,
რა არ მცადე,
არ მინდოდა დახალუპად
შენი სული, შენი სული
მაგრამ ვეღარ მოგისწარი.
დავიდარდე, დავიდარდე,
ქარმა ცრემლი შემიშრალა,
და კუბოში დამწყვდეული
თან მომქონდა გაზაფხული.
მესტიიდან ოდიშამდე,
მე მომქონდა შენი კუბო,
და კუბოში ჩამწყვდეული
სიჭაბუკის ბევრი ოცნება...
ვაი, რომ ვერ მოგისწარი.

რევაზ მარგიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გამოიწერეთ გაზეთი „ოდიში“

ძვირფასო მკითხველებო!

პირველი სექტემბრიდან დაიწყო და მიმდინარეობს ხელმოწერა საკავშირო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე. ჩვენი მკითხველებისათვის უკვე ცნობილი გახდა, რომ მომავალი 1991 წლიდან ერთი ორად გაიზრდება ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების ხელმოწერის ფასება. ჩვენ არ შევუდგებით იმის განმარტებას თუ რამ გამოიწვია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ასეთი გაძვირება. ეს ისედაც ცნობილია თქვენთვის. სხვა მიზეზებს შორის ერთ ერთი უველაზე მთავარი ფაქტორი სასტამბო ხარჯებისა და ქაღალდზე ფასის მომატება. გაზეთებისა და ჟურნალების ფასების გადიდება მკითხველთა გარკვეულ ნაწილს რომ დაგვაკარგვინებს ეს უდაო ფაქტია. ხოლო გაზეთისათვის მკითხველი იგივეა, რაც თევზისათვის წყალი, ადამიანებისათვის ჰაერი.

დღეს, როდესაც რედაქციები სამეურნეო ანგარიშზეა გადასული, ბევრით გაზეთებს და მათ შორის რა თქმა უნდა „ოდიშსაც“. ეძვის ქვეშაა წინაწლების ტირაჟის შენარჩუნება. ეს კი კატასტროფულად იმოქმედებს რედაქციის ფინანსურ მდგომარეობაზე.

რაკი ტირაჟი გახსენეთ მადლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ მკითხველები, რომელთა თანადგომითა და მხარდაჭერით იგი 22 ათასამდე გაიზარდა. ამ მონაცემებით „ოდიშს“ ქალაქ ქუთაისისა და რუსთავის შემდეგ პირველი ადგილი უკავია რესპუბლიკის საქალაქო და რაიონულ გაზეთებს შორის.

წელს ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის კამპანია ძალზე რთულ პირობებში იწყება. წინასწარი პროგნოზით ვიცით რომ გაუჭირდებათ „სოიუზპეჩატის“ სააგენტოებს ხელმოწერის კამპანიის ორგანიზებულად ჩატარება. მომავალი წლიდან გაზეთ „ოდიშის“ ერთი ნომრის ფასი 5 კაპიკი იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაზეთი ერთი წლით 7 მანეთი და 80 კაპიკი ეღირება.

როგორც ყოველთვის ამჯერადაც ველით თქვენს თანადგომას და მხარდაჭერას ძვირფასო მკითხველებო! სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით წელს შევქმნით ახალ შტატგარეშე განყოფილებებს, დავამკვიდრებთ დღევანდელობის შესაფერის რუბრიკებს, შემოვიღებთ ალტერნატიულ გვერდებს, სადაც ადგილი დაეთმობა ყველა პარტიისა და საზოგადოების წარმომადგენლებს, რათა გამოხატონ თავიანთი პოზიცია ამა თუ იმ პრობლემის მიმართ.

ერთი სიტყვით გაზეთი „ოდიში“ ბევრ სიახლეს ჰპირდება თავის მკითხველს, იქნება მათი ინტერესების გამომხატველი.

ხშირად სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენი გაზეთი დროულად ვერ აღწევს ხელმომწერლებამდე. რაც ხშირად სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ხდება, მაგრამ ხელმომწერის გასამართლებელი არგუმენტი კი არაა, გაზეთი ძვირდება.

გვინდა გარწმუნოთ, რომ ზუგდიდელი მკითხველები, როგორც ყოველთვის ამჯერადაც გამოიწერენ თანადგომას და დროულად გამოცხადდებიან „სოიუზპეჩატის“ ზუგდიდის განყოფილებაში მომავალი წლიდან გაზეთ „ოდიშზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით გაზეთ „ოდიშის“ რედაქცია.

---

ჩვენი გაზეთის ამ გვერდს ვუთმობთ იმ სიგნალებს, რეპლიკებსა და წერილებს, რაც ამ დღეებში შემოგვთავაზეს ჩვენმა მკითხველებმა:

# ხვალინდელი დღის იმედით

გადავწყვიტე, დიდი ხნის უნახავი დადიანების სასახლე და ბოტანიკური ბაღი დამეთვალიერებინა. სანამ სასახლემდე მივაღწევდი ტალახში ფეხის წვერებზე გავლამ მომიწია, ამინდი კი შესანიშნავი იყო. სასახლეს გარედან გულგრილად ვერ შეხედავს კაცი. მისი ჩაშავებული კედლები ტირილის გუნებაზე მაყენებენ მუდამ.

ფეხს ვიწმენდ და სასახლეში შევდივარ. კიბეებზე ხალიჩა აფენიათ... ხელახლა ვათვალიერებ ნაცნობ ნივთებს და უფრო დიდხანს ვჩერდები თითოეულთან. არავის აინტერესებს, ვინ შემოდის, — შეკითხვებზე ვალმოხდის მიზნით მპასუხობენ. ვეკითხები, რატომაა კედლებზე რუსული წარწერები. გამოიცვლება, მპირდებიან. ამასობაში ჯგუფი შემოვიდა. ოთახებში ისე დადიოდნენ, თითქოს არაფერი. ბოლოს კი როიალს მიუსხდნენ და ათ ან, სულ ცოტა, თხუთმეტ ხმაში იმღერეს... მე კი ვიდექი და შიშით კედელსაც კი ვერ ვეყრდნობოდი. მინდოდა, როგორმე ფრთხილად გამეყვანა ისინი. როგორც იქნა გარეთ გამოვედი. როიალის ზრაგუნი გადამავიწყა სასახლის წინ მონავარდე ძროხებმა და ღორის კოლტმა. იქნებ ესეც არაფერია...

ბოტანიკური ბაღის დაბინძურებულ ტბაში უნუგეშოდ დაცურავდა შავი გედი, მგლოვიარე, დამწეული და მოწყენილი. ადრე აქ რამდენიმე იყო, მახსოვს. ტბასთან ახალგაზრდები იდგნენ და მხიარული სახეებით თევზაობდნენ. იქვე უბელო ცხენი ძოვდა. ირგვლივ ყველაფერს მივიწყებულის იერი დასდებოდა.

ბოლოს კარის ეკლესიაში შევედი. ვიცი: მას მრევლი თითქმის არა ჰყავს, კედლები მოსახატია, ათასი წვრილმანია მოსაგვარებელი. მახსენდება, როგორ გაიხსნა 1988 წელს აქ თოჯინების თეატრი. ვფიქრობ, კომენტარიც ზედმეტია!.. „თეატრში“ რამდენიმე სპექტაკლი გაიმართა და მუშაობა შეწყდა. შარშან კი, ღვთის მადლით, ეკლესია ხელახლა ეკურთხა.

როგორ მოიქცეოდით, სასახლე თავისი ბაღით რომ ჩაგაბარონ და ფინანსურად უზრუნველგყონ? „დათვალიერების“ შემდეგ ასეთი კითხვით მივმართე სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. ბევრმა სურვილი გამოთქვა, უწინდელი სახე დაუბრუნოს ყველაფერს. ეს ძნელი როდია, მაგრამ იმის მოგვარებას, რომ ხეები არ გადაშენდნენ, ფრინველები არ ამოწყდნენ და საქონელმა არ იჭიროთოს, ვფიქრობ, დიდი არაფერი უნდა.

ბოლოს, კიდევ ერთი რამ მინდა გავიხსენო. სამედიცინო ინსტიტუტის ერთი – პროფესორი გულისტკივილით ამბობდა: ზუგდიდში ერთი დღით ჩავედი საქმეზე. მინდოდა სასახლე დამეთვალიერებინა, მაგრამ მითხრეს, თუკი 6 კაცი არ მოგროვდება, ვერ შეგიშვებთო... სასაცილოც კია! მხოლოდ იმიტომ, რომ ზედმეტად არ შეეწუხებულიყვნენ, დაინტერესებული ადამიანი უკან გააბრუნეს. განა მათ იმდენი დამთვალიერებელი ჰყავთ, რომ „გამონაკლისის“ დაშვება შეუძლებელი იყო? განა ასე უნდა ქალაქის სტუმარს დახვედრა?

ხვალინდელი დღის იმედი ვიქონიოთ. გვფარავდეს უფალი!

ნინო მეგონია,

თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.

# თაობა არ გვაპატიებს

ცენტრალური ხელგრობილი გზის პირას ონარიის მეურნეობის ტერიტორიაზე ბულ ახარებს დიდთა და პატარათა ფუფუსი სამოსახლო მიწის გაწმენდა-მოწყობაში, უკვე გამოჩნდა ჭიშკრები, პირველი სახლები. აქ დასახლდება ოცზე მეტი ოჯახი, იხარონ და იმრავლონ მათმა მერმა, მადლობა ეთქმის ყველას ვინც მათ გამოუყო ეს მიწა.

მაგრამ გაკვირვებას იწვევს გაჩეხილი მარადმწვანე კრიპტომერიები და თეთრტანი ევკალიპტის ხეივანი. ეს ერთკილომეტრიანი ხეივანი მშვენება იყო არამარტო ამ ტერიტორიისა, არამედ მთელი ამ კუთხისათვის (თუმცა მას სათანადო მოვლა პატრონობა აკლდა), რომელიც ამ ორმოციოდე წლის წინათ გააშენეს ჩვენმა წინაპრებმა.

ზოგნი ამბობენ: ქართველები სახლდებიან, ხეები უნდა გავიმეტოთო. ეს კი რაიონის არქიტექტურის, ბუნების დაცვის კომიტეტის, ჭითაწყარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის, ონარიის ჩაის მეურნეობის დირექტორის და სხვა სამსახურების მტრობაა ბუნებისადმი, მისი სილამაზისადმი. ბევრი, რომ არ გავაგრძელოთ ეს ყველაფერი დაბალი პროფესიონალიზმის შედეგიცაა. განა არ შეიძლებოდა შეგვენარჩუნებინა ეს მშვენიერი ხეივანი. რა თქმა უნდა შეიძლებოდა. ამისათვის საჭირო იყო ახალ მოსახლეთათვის გზა გაგვევლო მთავარი გზის პარალელურად ხეივნის აღმოსავლეთით. ამას არაფერი დეფიციტური მასალა არ სჭირდებოდა, უბრალოდ ქვა-ღორღიც საკმარისი იყო. გზის კეთილმოწყობაში მონაწილეობას თვით მოსახლეობაც კი მიიღებდა. ამაზე, რომ დროულად გვეფიქრა მაღალ დონეზე დაგეგმილი მშვენიერი დასახლება გამოგვივიდოდა.

მწვანეთა მოძრაობამ რომ არაფერი თქვას, ხეივნის განადგურებას მომავალი თაობა არ გვაპატიებს.

ჟიულარ დაბარზულია,

# გვიან იქნება „თითზე კბენანი“

ეკოლოგია, ბუნების დაცვა პლანეტაზე მცხოვრები ყველა ადამიანის საერთო სატკივარი და საზრუნავია. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ საქმეს დღეს დიდი ყურადღება ექცევა.

მე შორიდან არ დავიწყებ, მინდა მოკლედ აღვნიშნო ე. წ. უძრაობის წლებში ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების „გამოყენებით“ თუ რა გავაკეთეთ, რა მიუტევებელი შეცდომა დავუშვით და ხელოვნურად რა ეკოლოგიური პრობლემები გავიჩინეთ. გაკეთებულიდან ზოგიერთი მათგანი არ ითვალისწინებდა ჩვენი დედა-ბუნების დაცვა-შენარჩუნების მოთხოვნებს. ასე მაგალითად: ენგურჰესის გიგანტური კაშხალის მშენებლობით დავკარგეთ საუკეთესო მდინარე —ენგური თავისი ძვირფასი ორაგულით, ხოლო ამჟამად თვალსა და ხელსშუა გვეცლება სოფელ ანაკლიაში ზღვის უნიკალური სანაპირო. თუ ადრე, 60-70-იან წლებში სამანქანე გზა ანაკლიაში მესაზღვრეების ეზოს დონიდან 200-250 მეტრის დაშორებით გადიოდა, ამჟამად ზოგ ადგილას გზა ღობის გვერდით გადის და არ არის გამორიცხული ახლო მომავალში ზღვის დონიდან მინუსით არსებული ანაკლიის ტერიტორია ზღვით დაიფაროს. ასე რომ, „თითზე კბენა“ მერე გვიან იქნება.

საკითხავია, ვინ უნდა უშველოს ანაკლიას?!

ი. ჯალაღონია,

ზუგდიდის სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის დირექტორი.

# მცირედიც შეიწირების

მრავალშვილიან ოჯახებს თანადგომა და დახმარება რომ სჭირდება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საქველმოქმედო, ახალი საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება არსებობს, პრობლემა მაინც არ მოხსნილა. რა საზოგადოებაც არ უნდა ჩამოყალიბდეს, მრავალშვილიანი ოჯახები ფართო საზოგადოების, ახლობელ-ნათესავების ყურადღებას ყოველთვის საჭიროებენ.

საზოგადოების თანადგომით სარგებლობს ახალ თუმნელი გულუების ოჯახიც, რომელთაც არაერთგზის აღმოუჩინეს მნიშვნელოვანი დახმარება, მაგრამ, მოგეხსენებათ თექვსმეტი შვილიდან უმრავლესობა მცირეწლოვანია, ოჯახს უჭირს.

მომავალი საქართველო აცნობა მოაგვარებს დემოგრაფიულ პრობლემათა უმრავლესობას, გაუიოლებს ოჯახებს შვილების აღზრდას, მანამდე კი ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, რათა იგრძნონ მშობლებმა, რომ მარტო არ არიან, რომ მათზე ზრუნავს ხალხი.

სწორედ ამაზე ვწერდით ამ სამიოდე თვის წინ ჩვენს გაზეთში, როცა თანადგომას ვთხოვდით საწარმო-დაწესებულებებს, რათა გამოეჩინათ ქველმოქმედება და აღნიშნული ოჯახებისათვის გამოეყოთ სახსრები.

აჩქარად გამოგვეხმაურა ზუგდიდის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების სამკერვალო საამქროს უფროსი ჯემალ ჭარაშანია.

რამდენიმე დღის წინ მან გულუების ოჯახს სამკერვალო საამქროს სახელით მოკრძალებული საჩუქარი — 16 შვილისთვის საწოლის თეთრეულის კომპლექტი გადასცა.

სიხარულით მიიღეს კეთილი გულით მოძღვნილი საჩუქარი გულუების ოჯახის წევრებმა.

მ. ტიკაძე,

## სპორტი

# ზუგდიდელი სიცილიაში

ერის საკეთილდღეოდ გარკვეულ მუშაობას ეწევა პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის ძალოსნობის სექცია (დირექტორი გ. შეყია, მწვრთნელი ა. გახოკიძე). ამ სკოლის აღსაზრდელები წარმატებებს აღწევენ როგორც რესპუბლიკურ და საკავშირო, ასევე საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებზეც კი.

სპორტსკოლის სპორტსმენებიდან განსაკუთრებით ქების ღირსია სოფელ რიყის მკვიდრი, სპორტის ოსტატი მუხრან გოგია, რომელიც 21-30 აგვისტოს იტალიის კუნძულ სიცილიის ქალაქ პალერმოში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდა. მუხრანი 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, სადაც უჩვენა აკვრაში 200, ატაცში 165 კილოგრამი. ამ შედეგით იგი მეორე ადგილზე გავიდა და დაჯილდოვდა 100 დოლარით, ასევე გადაეცა ორი თასი 50-50 დოლარის ღირებულებით.

მუხრანთან და მის მწვრთნელთან საუბარში აღინიშნა, რომ სპორტსკოლის ძალოსნებს უკეთესი შედეგებიც ექნებოდათ, რიყის ძალოსნობის სპორტული დარბაზის კეთილმოსაწყობად რაიონისა და სოფლის ხელმძღვანელობას ცოტა მაინც რომ მოენდომებინათ. ძირითადად იატაკის უქონლობის გამო წელიწადზე მეტია დარბაზში არ მიმდინარეობს ვარჯიში. ვიმედოვნებთ, რომ თავიანთი თანასოფლელის ასეთი წარმატებით აღფრთოვანებული რიყის თავკაცები სახვალიოდ არ გადადებენ სპორტდარბაზის კეთილმოწყობის სამუშაოების დამთავრებას.

**რ. ჯიქია,**
სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

## თ. ი. ქითანავა



ზუგდიდელ პედაგოგთა შესანიშნავ კოჰორტას გამოაკლდა მისი საპატიო წევრი, დიდებული ქალბატონი, ქალაქის № 1 საშუალო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, საქ. სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი საცხენოსნო სპორტში, სკკპ წევრი 1945 წლიდან თამარ იაკობის ასული ქითანავა.

იგი დაიბადა 1915 წელს, მკადუაშში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ამთავრებს ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტს წარჩინებით. ნახევარი საუკუნე იმოღვაწა ქალაქის სკოლებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად, 1955 წლიდან კი მოღვაწეობდა ქალაქის № 1 საშუალო სკოლაში. იგი საოცრად ფლობდა საგნის სწავლების მეთოდებს და ხერხებს. მისი ხელმძღვანელობით სკოლა თამამად გამოდიოდა როგორც საქალაქო, ასევე რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, რაც ბრწყინვალე გამარჯვებებით გვირგვინდებოდა,

მისი ბობი იყო ცხენოსნური სპორტი. საქართველოს ხუთგზის ჩემპიონს ძნელად თუ მოეპოვებოდა მეტოქე. იგი მთელი ცინით და გატაცებით ფლობდა სპორტის ამ სახეს და სიმბოლურადაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი ჩვენგან წავიდა „ცხენის" წელიწადს.

შინმოუსვლელის მეუღლის, შვილისა და შვილიშვილების შესანიშნავი აღმზრდელის შუბლი არავის უნახავს შეკრული. იგი მხნედ იყო ყველა გასაცდელის ჟამს და... უბადლო ღიმილით ამხნევებდა სხვებსაც.

თამარ მასწავლებელი, მრავალ მასწავლებელთა მასწავლებელი, სიკეთის, სიყვარულის მთესველი დიდხანს ემახსოვრება ქალაქს.

სამწუხაროა, რომ პირველი საშუალო სკოლის ეზოდან აღარ შემოგვესმება მისი ომახიანი ხმა.

წავიდა თამარ მასწავლებელი ვალმოხდილი, თან გაიყოლია ყველას სითბო და სიყვარული.

არ დავიწყება მის ნათელ ხსოვნას...

**ამხანაგების ჯგუფი.**

რედაქტორი
**აკ. ჭანტურია.**


## [illegible]

### თუ გსურთ იყოთ ჯანმრთელნი..

თუ გსურთ იყოთ ჯანმრთელნი და არ გტკიოდეთ არაფერი, თუ გ[illegible]რთ ორგანიზმი გაიკაჟოთ არა ქიმიური საშუალებებით, არამედ მიიღოთ სამკურნალო მცენარეები, მიაკითხეთ კოოპერატივ „ჯანმრთელობა—89"-ს, სამკურნალო მცენარეების სარეალიზაციო ფილიალს, რომელიც მდებარეობს რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე გაზეთების ჯიხურის გვერდით.

კოოპერატივ „ჯანმრთელობა—89"-ს გამგეობა.

ზუგდიდის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექცია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის შემდეგ წრეებსა და კლუბებში: ინგლისური ენის წრე — (პედ. მ. ნარმანია), დრამატული — (პედ. ი. მოსია), ფოლკლორის — (პედ. მ. დაძიხია), მხარეთმცოდნეობა—ეკოლოგიის—(პედ. გ. ცერცვაძე), ვოკალური (საესტრადო და ხალხური სიმღერები)—(პედ. ი. ჩიგოგიძე), ხატვის — (პედ. ჯ. შურღულია), მხატვრული კითხვისა და თვითშემოქმედების — (პედ. ნ. აკობია), ნორჩ მეოჯახეთა: ჭრაკერვა — (პედ. თ. ნაჭყებია), ქსოვა-ქარგვა — (პედ. ვ. გელენავა), კულინარია — (პედ. ნ. ჯალაღონია), სამეჯლისო ცეკვები — (პედ. გ. კაპანაძე), საქართველოს ისტორიის — (პედ. ა. მოსია), მათემატიკის — (პედ. ზ. ბეჟვაია), რადიომოყვარულთა — (პედ. გ. ცანავა), ფოტომოყვარულთა — (პედ. ა. ყუფუნია),

#### კლუბები

ფანტაზია და მარჯვე ხელები — (პედ. მ. ნარმანია), ენა, მამული, სარწმუნოება — (პედ. ნ. აკობია), სახალხო გეოგრაფია — (პედ. მ. თორდია),

წრეებსა და კლუბებში მიიღებიან სათანადო მონაცემების მქონე პირველიდან მე-11 კლასის ჩათვლით, პროფტექნიკური სასწავლებლისა და ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექციას მისამართზე: ზუგდიდი, სოხუმის ქ. № 77. ტელეფონი 2-31-54.

დირექცია.

სდს საშუგრელოს სადროშოსთან არსებული სარედაქციო-საგამომცემლო და საშუამავლო-საქველმოქმედო კოოპერატივი „აიეტი" იწყებს ხელმოწერას ტერენტი გრანელის ლექსებისა და წერილების ორტომეულზე (ხელმოწერის ღირებულებაა 6 მანეთი) და სერიაზე: „საქართველოს მეფეები" (ხელმოწერის ღირებულებაა 8 მანეთი). გამოსაცემად მოამზადა ცნობილმა ლიტერატორმა ლ. ალიმონაკმა შესულია პოეტის დაბეჭდილი და დაუბეჭდავი ლექსები და წერილები. გამოცემა შესრულებულ იქნება მაღალმხატვრულ დონეზე. სერიის — „საქართველოს მეფეები" — გამოცემა განზრახულია მრავალ წიგნად. თითოეული წიგნის ავტორები იქნებიან ცნობილი ქართველი ისტორიკოსები, მათ შორის პროფესორები: ო. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, მ. ლორთქიფანიძე, ი. ანთელავა და სხვა.

სერიის ბოლო წიგნები გაიცემა უფასოდ.

აღნიშნულ გამოცემებზე ხელმოწერა უკვე დაიწყო. იგი წარმოებს დემოგრაფიული საზოგადოებისა და მწერალთა კავშირის ზუგდიდის განყოფილების შენობებში. წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ წარმოადგინონ ხელმომწერთა სიები.

კოოპერატივ „აიეტის" გამგეობა.

ვცვლი ერთოთახნახევრიან ბინას ფოთიდან ზუგდიდში.

ცნობისათვის მიმართეთ მისამართით ქ. ზუგდიდი, გამარჯვების ქ. № 11 გ. ქუტალია.


მეუღლე ძაბია, შვილები: თინა, ნოდარი. შვილიშვილები: ნანი, თენგიზი ლუკავები, ნონა, მამუკა ჯგუშიები, რძალი შურა ალასანია, სიძეები: ოროენ ჯგუშია, ვახტანგ ქითანავა, ზურაბ მიხელიძე, შვილთაშვილები: გოგა ქითანავა, ნონა, თეონა მიხელიძეები, დისშვილები: ეთერი, გურამი, ბორისი სამუშიები, ძმისშვილები: გულნარა, თალიკო, მარდონი, ნუგზარი ლუკავები, ცოლისდები: დუშა ვაშალომიძე, ბუცა შონია, ცოლისძმა კაპიტონ ხასაია ოჯახებით იუწყებიან

**ილია ფილიპეს ძე ლუკავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 18, 19 სექტემბერს, დაკრძალვა 20 სექტემბერს, გამოსვენება ქ. ზუგდიდი ცოტნე დადიანის 43-დან.

მეუღლე გონერი, შვილები მზევი, გია ქვანიები. დები მოკონა, ნუცა, ლენა, ციალა არახამიები, სიძე ჟინორი ფარცვანია, დისშვილები ონისე, ელისო ჭებურიები, თამრიკო ფარცვანია. მაზლები ჯუმბერი, ვაგნერი ქვანიები. რძლები ჟუჟუნა, ლეილა მაზლიძვილები ლაშა, ლელა, ნათია დავითი ქვანიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნატო (ვიდიშა) მაქსიმეს ასულ არახამია-ქვანიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 15 სექტემბერს, დაკრძალვა 16 სექტემბერს სოფელ ახალაბასთუმანში.

შვილი ჯავრიდი, რძალი მზია, შვილიშვილები ეკა, ლევანი შოგირაძეები, დები: მალიშა, ნათელა, ანგელინა ჯიჭონაიები, ძმები: შალიკო ქითანავა, ვალიკო ჯიჭონაია, იაშა ქობალია, რძლები: თამარი, ნაზო, ლია, ინეზა, სიძეები: კოტე ბერულავა, ინდიკო თოლორაია, მაზლი ბურდა, მულები ხვიტა, კიკა, ქვიპი, ლენა შოგირაძეები, დისშვილები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**თამარ იაკობის ასულ ქითანავას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 15, 16, 17 სექტემბერს, დაკრძალვა 18 სექტემბერს, ზუგდიდში, გამოსვენება გამარჯვების ქუჩა 45-დან.

და ნათელა ჩხარტიშვილი, სიძე ოდიკო, დისშვილები თამაზი, მიხეილი, ბადრი, ნინო ქანთარიები, რძლები ვერიკო, ვალია, სიძე სოსო რუხაძე იუწყებიან

**ეთერ მიხეილის ასულ ჩხარტიშვილი-კიკვაძის**

გარდაცვალებას, დაკრძალვა 16 სექტემბერს ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის 49.

იუველირვაჭრობის მაღაზია № 11-ის თანამშრომლები იუწყებიან

**ნანა ვანჩოს ასულ ჭანიას**

გარდაცვალებას [illegible] და სამძიმარს [illegible]

მეუღლე შალვა, დედა ლიდა, შვილები: დათო, გურამი, მამუკა ქადარიები, და მზიალა, მული მერი, ძმები გალიკო, პატიკო, ომიანე, იურა ალმაშვილები, რძლები: ნელი, თინა, იზო, ციცო, მარგო, იზო, ციალა, ხათუნა, ელისო, სიძე არველოდი როდონაია, შვილიშვილები: მურთაზი, მალხაზი, ბიძინა, მალხაზი, გოგიტა, თეონა, ფრიდონი, გოგა, კობა, ფიქრია, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**ლუსია ბიდას ასულ ალმაშვილი-ქადარიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 15, 16 სექტემბერს, დაკრძალვა 18 სექტემბერს სოფელ ახალაბასთუმანში.

შვილები: ხუტა, ომარი, შვილიშვილები: მზია, მურთაზი, ზაზა, ნანა, გიორგი ნოდიები, ნინო, ეკა ჰელიძეები, რძლები: მერი შერვაშიძე, ლიანა სერგია, რუსიკო ღლონიძე, სიძეები: ხიტი ჰელიძე, თამაზი აბალაია, ზური ბებია, გოგი რევია, შვილთაშვილები: მაკა, ლელა, ქეთინო ნოდიები, თეა ბებია, გიორგი, თამარი რევიები. დისშვილები მაზლიშვილები, ძმისშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან

**მაშა ვასილის ასულ კირილოვი-ნოდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 სექტემბერს დაკრძალვა 18 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება კეცხოველის ქ. № 16-დან.

შვილი ნაზი, სიძეები არდევანი კვარაცხელია, ემზარი ზარანდია, შვილიშვილები: მარიზა, მანანა, მაია, თემური, შვილთაშვილები: ხია, ნინო ზარანდიები იუწყებიან

**ლიდია უთუს ასული მამფორია-სორდიას**

გარდაცვალებას, დაკრძალვა 18 სექტემბერს სოფ. ხაბუმეში (II-მოიდანახე, ჩხოროწყუს რაიონი).

შვილები: თინიკო, ნანული, ვაჟიკო, ანზორი, რძლები: მაყვალა, ლული, შვილიშვილები: ლეილა, ლიანა, ლუიზა, ნაირა, გია შედანიები, რევაზი, კლარა, ინეზა, მზევი შელიები, ბესიკი, ნინო ჯღარკავები, მალხაზი, რამაზი, მურმანი, კობა, კახა, ეკა ფარჯიკიები, სიძეები ბოჩია შედანია, მამია შელია, ბიჭიკო ჯღარკავა, ძმისშვილები ეთერი, გული იზორიები, ბიძაშვილი ცატული მაქაცარია, მაზლიშვილები: ბონდო, კოტე, რეზო ნარუშვილები, ნოდარი, გივი მაქაცარიები, მულიშვილები: ირა, ბუბუშა წიწავები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვარვარა (დუნია) ლუკას ასულ იზორია-ფარჯიკიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 15, 16 სექტემბერს, დაკრძალვა 18 სექტემბერს სოფელ ცაიშში.

მეუღლე მარო, შვილები, ნოკოშა, კაპიტონი, მარგო, რეზო, ძმა შალვა, და ნადია, რძლები: ლუბა, ნორა, კლარა, იზოლდა, მანონი. სიძეები: ხუშუტი მიქავა, გენო მურღულია, თამაზი შანავა, ოთარი ხარჩილავა. შვილიშვილები: მთვარისა, ტრისტანი, ფინიზი, ინდირა, ინგა, ლამა, ლანა გულუები, ქეთო, ელისო, ლამარა, ირმა, დიტო მიქავები, შვილთაშვილები: გიორგი, თამარი, შალი, ნინო, სალომე, ძმისშვილები: ჯინიკო, ვალტერი, ეთერი, ციალა, დისშვილები: გივი, ლუნა, ვარდიშა სართანიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**კოსმანი იოსებ ძე გულუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16, 17 სექტემბერს. დაკრძალვა 18 სექტემბერს სოფ. გრიგოლიშში, გამოსვენება ჩქალოვის ქ. № 8, 18 საათზე.


ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96 სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-09

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. № 4075,